



საქართველოს კინემატოგრაფიის
ეროვნული ცენტრი
Georgian National
Film Center

ცნობის ფურცელი

№3, 2014





კონკურსები

2014 წლის მესამე კვარტალში ეროვნულმა კინოცენტრმა გამოაცხადა კონკურსები შემდეგ კატეგორიებში:

2014 წლის 22 სექტემბერს გამოცხადდა სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის წარმოების დაფინანსების კონკურსი (საკონკურსო ფონდი 900 000 ლარი), პროექტების შემოტანის ბოლო ვადაა 8 დეკემბერი.

2014 წლის 26 სექტემბერს გამოცხადდა სრულმეტრაჟიანი სადებიუტო მხატვრული ფილმის წარმოების დაფინანსების კონკურსი (საკონკურსო ფონდი 500 000 ლარი), პროექტების შემოტანის ბოლო ვადაა 10 ნოემბერი.

2014 წლის 29 სექტემბერს გამოცხადდა სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის ერთობლივი წარმოების - კოპროდუქციის დაფინანსების კონკურსი (საკონკურსო ფონდი 500 000 ლარი), პროექტების შემოტანის ბოლო ვადაა 21 ნოემბერი.

ასევე ჩატარდა მოკლემეტრაჟიანი ანიმაციური ფილმის პროექტის განვითარების დაფინანსების კონკურსი, საბოლოო შედეგები ასე გამოიყურება:

- „მეთევზე და გოგონა“ – 6800 ლარი.
- „უკანასკნელი ადამიანი“ – 5130 ლარი.
- „განდეგილი“ – 6000 ლარი.
- „ბედის მამებარი“- 5070 ლარი.
- „უთვალავი“ – 2000 ლარი.

სრულმეტრაჟიანი და მოკლემეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმის პროექტის განვითარების დაფინანსების კონკურსის საბოლოო შედეგები კი ასეთია:

- „ჭიათურა, ჩემი სიამაყეა“ – 5000 ლარი.
- „დიდუბე, ბოლო გაჩერება“ – 3000 ლარი.
- „მოუსმინე სიჩუმეს“ – 4050 ლარი.
- „ბაქანი გრეხილი ავეჯი“ – 7000 ლარი.
- „სატრფიალო პასტორალი“ – 8000 ლარი.
- „ერთსულიანი სოფლები“ – 4950 ლარი.
- „მალლა და მალლა“ – 3000 ლარი.
- „თვალყური“ – 4500 ლარი.

მიმდინარე პროექტები

- მოსამზადებელ პერიოდშია სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „დღე როგორც ერთი თვე“, (საპროდიუსერო კომპანია - შპს „ლაკუმი“, რეჟისორი - რეზო ესაძე).
- მოსამზადებელ პერიოდშია სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „მისტერ ჯონსონი“, (საპროდიუსერო კომპანია - შპს „სტუდია ლოკოკინა“, რეჟისორი - თამარ მშვენიერაძე).
- მოსამზადებელ პერიოდშია სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმის ქართულ-უცხოური წარმოების პროექტი „ორმაგი უცხოები“ (საპროდიუსერო კომპანია - ააიპ საქდოკფილმი, რეჟისორი - უგის ოლტე).
- მოსამზადებელ პერიოდშია სადიპლომო მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ორნი“ (საპროდიუსერო კომპანია - შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტი, რეჟისორი - ნათია გოგალაძე).
- მოსამზადებელ პერიოდშია სადიპლომო მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ბლანჟე“ (საპროდიუსერო კომპანია - შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტი, რეჟისორი - გიორგი ბართაია).
- მოსამზადებელ პერიოდშია მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „მექელეხე“ (საპროდიუსერო კომპანია - შპს „REACTORMONKEY“ თორნიკე ბზიავა, რეჟისორი - თორნიკე ბზიავა).
- მოსამზადებელ პერიოდშია მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „მამა“ (საპროდიუსერო კომპანია - შპს „მილიმეტრი“, რეჟისორი - დათა ფირცხალავა).

“ამირი”; რეჟ. გაბრიელ რაზმაძე





„ცხრა მთას იქით“; რეჟ. ლევან თუთბერიძე



„პრეზიდენტი“; რეჟ. მოჰსენ მახმალბაფი

- მოსამზადებელ პერიოდშია მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „მე შენი შვილი“ (საპროდიუსერო კომპანია - შპს „კიგრუპი“ ალექსანდრე გოგიაშვილი, რეჟისორი - თამარ შავგულიძე).
- მოსამზადებელ პერიოდშია მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ტატიანა და ლილი“ (საპროდიუსერო კომპანია - შპს „არტიზმი“, რეჟისორი - ვახტანგ ჯაჯანიძე).
- გადაღების პერიოდშია სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „ბერლინის ახალი კედელი“ (საპროდიუსერო კომპანია - ააიპ“ თი-სტუდია“, რეჟისორი - თომა ჩაგელიშვილი).
- გადაღების პერიოდშია სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „როცა დედამიწა მსუბუქია“ (საპროდიუსერო კომპანია - შპს „ზაზარფილმი“, რეჟისორები - სალომე მაჩაიძე, თამარ ქარუმიძე, დავით მესხი).
- გადაღების პერიოდშია სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „დევნილი გემი ენგური“ (საპროდიუსერო კომპანია - შპს „ნალი“, რეჟისორი - ვახტანგ ვარაზი).
- გადაღების პერიოდშია მოკლემეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „26 საუკუნე ერთად“ (პროდიუსერი და რეჟისორი - ინდ/მეწარმე „მიშა ჭიაურელი“).
- სამონტაჟო პერიოდშია მოკლემეტრაჟიანი ანიმაციური ფილმი „ფრანი“ (საპროდიუსერო კომპანია - ფ/პირი „გიორგი ვასაძე“, რეჟისორ/ანიმატორი - ვლადიმერ სულაქველიძე).
- სამონტაჟო პერიოდშია მოკლემეტრაჟიანი ანიმაციური ფილმი „ჯინო“ (საპროდიუსერო კომპანია - შსგ „ლირა ფროდაქშენი“, რეჟისორი - დათო კიკნაველიძე).
- სამონტაჟო პერიოდშია სადიპლომო მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „შუქნიშანი“ (საპროდიუსერო კომპანია - შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტი, რეჟისორი - მარია სიჩანინი).
- სამონტაჟო პერიოდშია სადიპლომო მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „მე, ისინი და მამა“ (საპროდიუსერო კომპანია - შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტი, რეჟისორი - სალომე ვეფხვაძე).

- სამონტაჟო პერიოდშია სადიპლომო მოკლემეტრაჟიანი ანიმაციური ფილმი „ცუდი ექსკურსია“ (საპროდიუსერო კომპანია - შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტი, რეჟისორი - ელენე ჟორჟოლიანი).
- სამონტაჟო პერიოდშია სადიპლომო მოკლემეტრაჟიანი ანიმაციური ფილმი „როცა გარეთ წვიმს, ან დაუმთავრებელი პარტია“ (პროდიუსერი - შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტი, რეჟისორი - თეა ვაწაძე).
- გადაღების პერიოდშია სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „გაყინული შადრევნების წელიწადი“ (საპროდიუსერო კომპანია - შპს „29 +“, რეჟისორი - ივანე ბურდული).
- გადაღების პერიოდშია სადებიუტო სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „გაპიკოება“ (საპროდიუსერო კომპანია - ინდ/მეწარმე გიო მგელაძე - კატმანდუ, რეჟისორი - გიორგი მგელაძე).
- გადაღების პერიოდშია სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „არხი“ (საპროდიუსერო კომპანია - ააიპ საქდოკ ფილმი, რეჟისორი - სალომე ჯაში).
- გადაღების პერიოდშია სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „ნივთები“ (საპროდიუსერო კომპანია - შპს „CINEMARK“, რეჟისორი - ნინო გოგუა).
- გადაღების პერიოდშია მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ქარის დევნა“ (საპროდიუსერო კომპანია - შპს 20 Steps Productions, რეჟისორი - ზურაბ დემეტრეშვილი).
- სამონტაჟო პერიოდშია სრულმეტრაჟიანი ქართულ-გერმანულ-უკრაინულ-ბულგარული პროექტი „ურსუსი“ (საპროდიუსერო კომპანია - შპს „სტუდიო ო“, რეჟისორი -ოთარ შამათავა).
- სამონტაჟო პერიოდშია სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ძილის გაკვეთილები“ (საპროდიუსერო კომპანია - შპს კავკასიური ფილმოდრომი, რეჟისორი - რუსუდან პირველი).
- სამონტაჟო პერიოდშია სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „სხვისი სახლი“ (საპროდიუსერო კომპანია - შპს „სინტექი“, რეჟისორი - რუსუდან გლურჯიძე).

„ოგასავარი“; რეჟ. ვახტანგ კოტეტიშვილი



„გაპიკოება“, გადაღების პროცესი; რეჟ. გიო მგელაძე



- სამონტაჟო პერიოდშია სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „ბედნიერები გემოვნებაზე არ დაობენ“ (საპროდიუსერო კომპანია - შპს კავკასიის კინოსერვისი, რეჟისორი - ირაკლი სოლომანაშვილი).
- სამონტაჟო პერიოდშია სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „ჩეჩნეთის გზაჯვარედინი“ (საპროდიუსერო კომპანია - შპს „სტუდია ლოკოკინა“, რეჟისორი - ალექსანდრე კვატაშიძე).
- სამონტაჟო პერიოდშია სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „ციხის აღსარებები“ (საპროდიუსერო კომპანია - შპს „კინო იბერიკა“, რეჟისორი - ლევან კოლუაშვილი).
- სამონტაჟო პერიოდშია სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „ფიქრი“ (საპროდიუსერო კომპანია - ფ/პირი ირაკლი ბაღათურია, რეჟისორი - გელა კანდელაკი).
- სამონტაჟო პერიოდშია სრულმეტრაჟიანი ქართულ-გერმანულ-ფრანგული პროექტი „კონკურსი“ (საპროდიუსერო კომპანია - შპს „კოროფიქერს“, რეჟისორი - დიტო ცინცაძე).
- სამონტაჟო პერიოდშია მოკლემეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „ამირი“ (საპროდიუსერო კომპანია - შპს „New Wave“, რეჟისორი - გაბრიელ რაზმაძე).
- სამონტაჟო პერიოდშია მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ოგასავარი“ (საპროდიუსერო კომპანია - ააიპ საქდოკ ფილმი, რეჟისორი - ვახტანგ კოტეტიშვილი).
- სამონტაჟო პერიოდშია სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „რელიგია, ძალაუფლება, სახელმწიფო, საქართველო 1989 – 2013 წ.“ (პროდიუსერი და რეჟისორი - სოსო დუმბაძე).
- დასრულდა სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „პრეზიდენტი“ (საპროდიუსერო კომპანია - შპს „20 STEPS PRODUCTIONS“, რეჟისორი - მოჰსენ მახმალბაფი).
- განვითარების პერიოდშია სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის სცენარი „ვენეცია“ (განმცხადებელი - შპს „ნიკე სტუდია“, სცენარის ავტორი - რუსუდან ჭყონია).

“გაყინული შადრევნების წელიწადი”;
რეჟ. ვანო ბურდული



“ჩეჩნეთის გზაჯვარედინი”;
რეჟ. ალექსანდრე კვატაშიძე



- განვითარების პერიოდშია დოკუმენტური ფილმის პროექტი „ჭიათურა ჩემი სიამაყეა“ (განმცხადებელი - შპს „ონელი ფილმ ასოციაცია“, რეჟისორი - დეა კულუმბეგაშვილი).
- განვითარების პერიოდშია დოკუმენტური ფილმის პროექტი „დიდუბე, ბოლო გაჩერება“ (განმცხადებელი - შპს „რეალიტი ფილმსი“, რეჟისორი - შორენა თევზაძე).
- განვითარების პერიოდშია დოკუმენტური ფილმის პროექტი „მოუსმინე სიჩუმეს“ (განმცხადებელი - შპს „ოპიოდოკი“, რეჟისორი - მარიამ ჭაჭია).
- განვითარების პერიოდშია დოკუმენტური ფილმის პროექტი „ბაქანი გრეხილი ავეჯი“ (განმცხადებელი - შპს „არტეფაქტ პროდაქშენი“, რეჟისორი - ნინო ორჯონიკიძე).
- განვითარების პერიოდშია დოკუმენტური ფილმის პროექტი „სატრფიალო. პასტორალი“ (განმცხადებელი - შპს „თოფილმი“, რეჟისორი - თინათინ გურჩიანი).
- განვითარების პერიოდშია დოკუმენტური ფილმის პროექტი „ერთსულიანი სოფლები“ (განმცხადებელი - შპს „ამპრო“, რეჟისორი - გურამ ასათიანი).
- განვითარების პერიოდშია დოკუმენტური ფილმის პროექტი „მაღლა და მაღლა“ (განმცხადებელი - შპს „არტიზმი“, რეჟისორი - ერეკლე ბადურაშვილი).
- განვითარების პერიოდშია დოკუმენტური ფილმის პროექტი „თვალყური“ (განმცხადებელი - შპს „პანსიონატი“, რეჟისორი - გიორგი ცეციტინიძე).
- განვითარების პერიოდშია დოკუმენტური ფილმის პროექტი „ისტორიები საოჯახო ალბომებიდან“ (განმცხადებელი - შპს „საქდოკ ფილმი“, რეჟისორი - ანნა ძიკაშვიძე).
- განვითარების პერიოდშია ანიმაციური ფილმის პროექტი „მეთევზე და გოგონა“ (განმცხადებელი - შპს „20 Steps Productions“, რეჟისორი - მამუკა ტყემელაშვილი).
- განვითარების პერიოდშია ანიმაციური ფილმის პროექტი „უკანასკნელი ადამიანი“ (განმცხადებელი - შპს „ჯი-ეფ სტუდიო“, რეჟისორი - თინიკო ებრაღიძე).
- განვითარების პერიოდშია ანიმაციური ფილმის პროექტი „განდევილი“ (განმცხადებელი - შპს „ლირა ფროდაქშენი“, რეჟისორი - დათო კიკნაველიძე).
- განვითარების პერიოდშია ანიმაციური ფილმის პროექტი „ბედის მამებარი“ (განმცხადებელი - შპს „სტუდია ტელეფესტი“, რეჟისორი - ამირან ისიანი).
- განვითარების პერიოდშია ანიმაციური ფილმის პროექტი „უთვალავი“ (განმცხადებელი - შპს „სტუდია ტელევიზირი“, რეჟისორი - ნოდარ ბეგიაშვილი).

ქართული კინო საზღვარგარეთ



გიორგი ოვაშვილის "სიმინდის კუნძულის" ტრიუმფი კარლოვი ვარის 49-ე კინოფესტივალზე

გიორგი ოვაშვილის "სიმინდის კუნძულს" კარლოვი ვარის საერთაშორისო კინოფესტივალზე გრანპრი - "ბროლის გლობუსი" გადაეცა. მთავარ პრიზს ახლავს ფულადი ჯილდოც - 25 000 ამერიკული დოლარის ოდენობით. ფილმმა ასევე მიიღო ეკუმენური ჟიურის პრიზი საუკეთესო რეჟისურისთვის.

კარლოვი ვარში "სიმინდის კუნძულის" მსოფლიო პრემიერას დაესწრო თავად რეჟისორი და ფილმის შემოქმედებითი ჯგუფის ნაწილი, ასევე კინოცენტრის წარმომადგენლები.

ფილმს გამარჯვებამდეც კინოკრიტიკოსთა წრეებში დიდი გამოხმაურება მოჰყვა, დაიწერა დადებითი რეცენზიები და რეიტინგის ლიდერი იყო.

გიორგი ოვაშვილის ბოლო ნამუშევარი არის საქართველოს, გერმანიის, საფრანგეთის, ჩეხეთის რესპუბლიკისა და ყაზახეთის კოპროდუქცია. ფილმი 2012 წელს ეროვნული კინოცენტრის კონკურსის გამარჯვებული პროექტია და მოპოვებული აქვს სახელმწიფო სუბსიდია.

„სიმინდის კუნძული“ ფსიქოლოგიური დრამაა. ფილმში მოქმედება ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ბუნებრივ საზღვარზე – მდინარე ენგურზე ვითარდება. მდინარეში წყალდიდობის დროს წარმოქმნილ კუნძულზე მოხუც გლეხს სიმინდი მოჰყავს. მოგვიანებით კუნძულზე ქართველი მესაზღვრე ჩნდება, რომელიც მოხუცის და მისი 16 წლის შვილიშვილი გოგონას ერთი შეხედვით იდილიურ ცხოვრებას არღვევს.

ფილმში მთავარ როლებს ასრულებენ თურქი მსახიობი ილიას სალმანი და მარიამ ბუთურიშვილი. ოპერატორი - ელემერ რაგალი. კომპოზიტორი - იოსებ ბარდანაშვილი.

ქართული კინოს წარმატება სარაევოს კინოფესტივალზე

ქართული დელეგაცია სარაევოს კინოფესტივალიდან სამი პრიზით დაბრუნდა.

თინათინ ყაჯრიშვილის ფილმმა „პატარძლები“, რომელიც მონაწილეობდა ფესტივალის მთავარ კონკურსში 2 პრიზი დაიმსახურა:

ჟიურის სპეციალური პრიზი და პრიზი ქალის როლის საუკეთესო შესრულებისთვის გადაეცა მარი კიტას.

ნანა ექვთიმიშვილის და სიმონ გროსის ახალი ფილმის პროექტმა „ჩემი ბედნიერი ოჯახი“ ფესტივალზე ევრიმაჟის პროექტის განვითარების ჯილდო მოიპოვა.

ეს პრიზი პროექტების განვითარების ჯილდოებს შორის მთავარი პრიზია და 30 000 ევროს შეადგენს.

სარაევოს კინოფესტივალის პროექტების განვითარების პლატფორმამ Cine Link-მა 18 ქვეყნიდან შემოსული 200 პროექტიდან თავდაპირველად 17 პროექტი შეარჩია, ხოლო ხუთკაციანმა ჟიურიმ საუკეთესოდ ნანა ექვთიმიშვილის სცენარი დაასახელა.

„ჩემი ბედნიერი ოჯახი“ 2014 წელს დაფინანსების მოძიების შემდეგ, 2015 წელს ფილმის გადაღება საქართველოში დაიწყო.

წელს ქართული კინო ფესტივალზე განსაკუთრებით მასშტაბურად იყო წარმოდგენილი.

ფესტივალის მთავარ კონკურსში მონაწილეობდა ორი ქართული ფილმი:

- ლაშა ცქვიტინიძის „მე ვარ ბესო“ (მსოფლიო პრემიერა).
- თინათინ ყაჯრიშვილის „პატარძლები“.

ასევე დოკუმენტური ფილმების კონკურსში მონაწილეობდა: შალვა შენგელის „ხელმწიფე“.

მოკლემეტრაჟიანი ფილმების კონკურსში: დეა კულუმბეგაშვილის „უხილავი სივრცეები“.

სექციაში „ფოკუსი“ ნაჩვენები იქნა: ლევან კოდუაშვილის „შემთხვევითი პაემნები“.

სექციაში „ღია ცის ქვეშ“ ნაჩვენები იქნა ქართულ-ფრანგული კოპროდუქცია - მიშელ ჰაზანავიჩუსის „მეზნა“. ფილმი სრულად საქართველოშია გადაღებული.

სარაევოს ფესტივალის ინდუსტრიულ სექციას ესწრებოდნენ დამატებით ხუთი ქართული პროექტის წარმომადგენლები. ხოლო ტალანტ კამპუსისთვის შერჩეული იყო გიორგი კვაჭაძის ანიმაციური ფილმის პროექტი „სარეცხის დირიჟორი“. ეროვნულ კინოცენტრსა და სარაევოს კინოფესტივალს შორის თანამშრომლობა 2011 წლიდან დაიწყო.





ქართული კინოს აღმოჩენა სხვა კონტინენტზე MoMA NY & BAM/PFA

23 სექტემბერს ნიუ იორკში, თანამედროვე ხელოვნების მუზეუმში - მომაში ქართული ფილმების ყველაზე ფართომასშტაბიანი რეტროსპექტივა გაიხსნა. გახსნა გაეროს გენერალურ ასამბლეას დაემთხვა და მას საქართველოს პრემიერ მინისტრი - ირაკლი ღარიბაშვილი მეუღლესთან ერთად და მთავრობის წევრები დაესწრნენ. ამ მოვლენისთვის ნიუ იორკში გაემგზავრა ეროვნული კინოცენტრის დირექტორი ნანა ჯანელიძე.

ქართული კინოს დღეები ჩრდილოეთ ამერიკის კონტინენტზე მაისამდე გაგრძელდება. ნაჩვენები იქნება 50-მდე ქართული ფილმი, ჩვენებები MoMA-ს პარალელურად გაიმართება ბერკლიში და მოგვიანებით ვაშინგტონში.

ნაჩვენები იქნება როგორც საუკუნოვანი ქართული უხმო კინო და საბჭოთა პერიოდის კინოკლასიკა, ისე თანამედროვე ქართული წარმატებული ფილმები.

პროგრამის სია თავად მასპინძელი მხარე - MoMA-ს წარმომადგენლებმა შეადგინეს. პროექტის პირველ ნაწილს სიმბოლურად ეწოდა „კინოდინასტიები“, რომელიც მოიცავს 1920 წლიდან დღემდე - სამი სხვადასხვა თაობის კინემატოგრაფისტი ოჯახების შემოქმედებას (23 სექტემბერი - 16 ოქტომბერი, 2014,) მეორე ნაწილს კი ქვია - ცისფერი მთებს მიღმა (22 ნოემბერი - 21 დეკემბერი, 2014).

პროექტს შესაძლოა ეწოდოს საუკუნის პროექტი. მასზე მუშაობა მიმდინარეობდა თითქმის 25 წლის განმავლობაში. ქართული ფილმების ასეთი მასშტაბური რეტროსპექტივა პარიზში პომპიდუს ცენტრის (მე-20 საუკუნის 80-იანი წლები) შემდეგ მსოფლიოში არ ყოფილა.

ქართული კინოს აღმოჩენა კალიფორნიის უნივერსიტეტის, ბერკლის ხელოვნების მუზეუმის, Pacific Film Archive -ის და ნიუ-იორკის თანამედროვე ხელოვნების მუზეუმის თანამშრომლობის შედეგია.

ღონისძიების ორგანიზატორები არიან: სიუზან ოქსტობი, კურატორი ფილმების დარგში, BAM/PFA, და იუტა იენსენი, კურატორი, ნიუ-იორკის თანამედროვე ხელოვნების მუზეუმის კინოგანყოფილება.

რეტროსპექტივის მხარდამჭერები საქართველოდან: საქართველოს საელჩო აშშ-ში; საქართველოს ეროვნული კინოცენტრი, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო; საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო.

ორგანიზატორების მიერ შერჩეული ფილმების დიდი ნაწილი ამერიკის სხვადასხვა არქივში ინახება, გარკვეული ნამუშევრები საქართველოდან იგზავნება კინოფორების დიდი ნაწილი მსოფლიოს სხვადასხვა არქივში მოიძებნა, მათ შორის მოსკოვის კინოარქივში - “გოსფილმფონდი”.

ამერიკული პრესა ქართულ კინოზე

THE NEW YORK TIMES 2014 წლის 18 სექტემბერი
ავტორი ჯეი ჰობერმანი

დამოუკიდებელი ერი თვითმყოფადი ფილმებით

„ქართული კინო ეგზოტიკურია, ის შეიძლება იყოს როგორც გოროზი და მძვინვარე, ისე მშვენიერი. შავ და კასპიის ზღვებს შორის, რომისა და სპარსეთის, ოსმალეთისა და რუსეთის იმპერიებს შორის მოქცეული საქართველო პატარა ქვეყანაა შთამბეჭდავი ბუნებითა და საამაყო წარსულით. „მე ხმელთაშუა ზღვის კულტურის უკანასკნელი წარმომადგენელი ვარ, რომლის ფესვები ანტიკურობაში მიდის“ – ცოტა გადაჭარბებულად თქვა ერთხელ საქართველოდან წასულმა რეჟისორმა ოთარ იოსელიანმა.

ბატონი იოსელიანის მტკიცებით, ქართული ენა დალიტერატურა ეტრუსკულიდან მომდინარეობს. ამ ერს დიდებული, ასწლოვანი კინემატოგრაფიული ისტორია აქვს. ჩვენი კურატორები 20 წლის განმავლობაში ქმნიდნენ ორნაწილიან პროექტს – „ქართული კინოს აღმოჩენა“. მათ ეროვნულ სიამაყესა და ბიუროკრატიულ ინერციას შორის ისე მოუწიათ გავლა, როგორც სცილასა და ქარიბდას შორის. ღონისძიება თანამედროვე ხელოვნების მუზეუმში, სამი დღის შემდეგ კი ბერკლის ხელოვნების მუზეუმსა და კალიფორნიის წყნარი ოკეანის კინოარქივში ტარდება.

ქართული კინო ეგზოტიკურია და, ისევე როგორც რუსი მწერლების ლერმონტოვისა და ტოლსტოის მიერ აღწერილი მთები, შეიძლება იყოს როგორც გოროზი, ისე მძვინვარე და მშვენიერი. იგი საყოველთაოდ ცნობილი არ არის. ქართულ ფილმებზე ძნელი სათქმელია, რომ ისინი ბოლომდე ქართულია; უცხოეთში დისტრიბუციისას ამ ფილმების რუსულად დუბლირებას აკეთებდნენ, საბჭოთა მაღალჩინოსნები კი ამჯობინებდნენ ეჩვენებიათ ისინი საზღვარგარეთ სხვა ეროვნული სტუდიების მიერ გადაღებული ფილმების პაკეტებში. ქართული ფილმების უმეტესობა რუსულ არქივ „გოსფილმფონდში“ ინახება.“



The Wall Street Journal - 30 სექტემბერი, 2014

ავტორი: კირსტენ ჯონსი
კინო დინასტიები

ქართული კინემატოგრაფის ჩაკეტილი სამყარო დღის სინათლეზე გამოდის

„ქართული კინოს ისტორია საუკუნეზე მეტს ითვლის და მდიდარია მიღწევებით, მუნჯი ფილმებით, შესანიშნავი ლანდშაფტებითა და დინამიური მონტაჟით, დახვეწილი ანტისაბჭოთა კრიტიკითა და გამოგონებული მხატვრულ-პოეტური ნარატივებით. დამოუკიდებლად მოაზროვნე ქართველი კინემატოგრაფისტები ხშირად მიმართავდნენ მდიდარ კულტურას, ერთდროულად ძველსა და ავანგარდულს, რომელიც მოიცავს მხატვრობას, პოლიფონიურ მუსიკას, თეატრსა და ცეკვას. ისინი ესთეტიურად მრავალფეროვანია. თუმცა ხშირად ეს გაბედული ფილმები საერთაშორისო აღიარებას მოიპოვებდნენ, ზოგიერთი კინემატოგრაფისტი დღემდე დაუფასებელია, ბევრი ფილმი კი დიდი ხნის განმავლობაში მიუწვდომელი იყო მაყურებლისთვის.“





BIAFF 2014

21 სექტემბერს ბათუმის საზაფხულო თეატრში ბათუმის საერთაშორისო საავტორო კინოფესტივალის დახურვის ცერემონია გაიმართა. საერთაშორისო ჟიურიმ პრიზები სამ საკონკურსო სექციაში გასცა - საერთაშორისო მხატვრული, დოკუმენტური და მოკლემეტრაჟიანი.

BIAFF საერთაშორისო კონკურსის სექციის ხუთკაციანმა ჟიურიმ (რომან ბალაიანი, ალისა სიმონი, პაველ ივანოვი, მიხაილ სტამბოლციანი და ზაზა ურუშაძე) შემდეგი პრიზები გასცა:

- გრანპრი - „ფრენკი“, ლენი აბრაჰამსონი, გაერთიანებული სამეფო/ირლანდია, 2014
- ჟიურის სპეციალური პრიზი - „პატარძლები“, თინათინ ყაჯრიშვილი, საქართველო/საფრანგეთი, 2014
- საუკეთესო რეჟისურა - ივან ი. ტვერდოვსკი ფილმისათვის „გამოსასწორებელი კლასი“, რუსეთი/გერმანია, 2014
- საუკეთესო მსახიობი მამაკაცი - ირფან ხანი - „ლანჩოქსი“, ინდოეთი/საფრანგეთი/გერმანია/აშშ, 2013
- საუკეთესო მსახიობი ქალი - სილვი მარინკოვიჩი - „განკურნება“, შვეიცარია/ხორვატია, ბოსნია-ჰერცეგოვინა, 2014



BIAFF 2014-ის დოკუმენტური ფილმების საერთაშორისო კონკურსის სექციის ხუთკაციანმა ჟიურიმ (ანდრიუს სტონისი, პაველ ლოზინსკი, ულვი მეტი, მიროლიუზ ვუსკოვიჩი და ანა ძიაპშიპა) შემდეგი პრიზები გასცა:

- საუკეთესო დოკუმენტური ფილმი - მაიდან, სერგეი ლოზნიცა, უკრაინა/ნიდერლანდი, 2014
- სპეციალური პრიზი - აგვისტოს მოლოდინში, თეოდორა მიჰაი, ბელგია/რუმინეთი, 2014

BIAFF 2014-ის მოკლემეტრაჟიანი ფილმების საკონკურსო სექციის ხუთკაციანმა ჟიურიმ (მიხეილ კობახიძე, მირა სტალევა, ეკატერინა ჩერქეს-ზადე, ლატავრა დულარიძე, ენდრიუ ვიალი) შემდეგი პრიზები გასცა:

- საუკეთესო მოკლემეტრაჟიანი ფილმი - ზეთის ლამფა, ჰუ ვეი, საფრანგეთი/ჩინეთი, 2013

BIAFF-ის პრიზი კინოხელოვნების განვითარებაში შეტანილი წვლილისათვის გადაეცათ:

- რომან ბალაიანს (უკრაინა)
- ირაკლი კვირიკაძეს (საქართველო)
- ავთო მახარაძეს (საქართველო)
- რუსტამ იბრაგიმბეკოვს (აზრბაიჯანი, რუსეთი)

დაჯილდოების ცერემონიის შემდეგ ნაჩვენები იქნა ბათუმის კინოფესტივალის დახურვის ფილმი - "სიმინდის კუნძული".

ფესტივალის ფარგლებში გაიმართა სემინარი - თენგიზ აბულაძის 90 წლის იუბილესთან დაკავშირებით. სემინარზე გაიმართა დისკუსია მის შემოქმედებაზე და მოეწყო ფოტოგამოფენა.



საქართველოდან 2014 წლის ოსკარის ნომინაციაზე წარსადგენი ფილმი

ეროვნული კინოცენტრის ორგანიზებით და მხარდაჭერით, კინოპროდიუსერთა საერთაშორისო ოსკარის საუკეთესო უცხოენოვანი ფილმის ნომინაციისთვის წარსადგენი ფილმი საქართველოდან სპეციალურმა კომისიამ შეარჩია. ამერიკულ კინოაკადემიას ქართული მხარე წარუდგენს ფილმს “სიმინდის კუნძული” (რეჟისორი: გიორგი ოვაშვილი). საქართველოდან ოსკარზე - საუკეთესო უცხოენოვანი ფილმის ნომინაციაზე წარსადგენად 4 ქართული ფილმი მონაწილეობდა:

- პატარძლები - (რეჟისორი: თინათინ ყაჯრიშვილი)
- შემთხვევითი პაემნები - (რეჟისორი: ლევან კოლუაშვილი)
- სიმინდის კუნძული - (რეჟისორი: გიორგი ოვაშვილი)
- ზღვარი - (რეჟისორი: მარიამ ქაცარავა)

ფილმების ჩვენება კომისიის წევრებისათვის 2-5 სექტემბერს გაიმართა.

ამერიკულ კინოაკადემიაში გასაგზავნი ფილმი სპეციალური კომისიის წევრებმა კენჭისყრის შედეგად გამოავლინეს. კომისიის წევრები იყვნენ: მერაბ კოკოჩაშვილი, კოტე ჯანდიერი, ლანა ლოღობერიძე, მიხეილ კობახიძე, ვლადიმერ კაჭარავა, ნინო მხეიძე, ნანა ჯანელიძე, ნანა ექვთიმიშვილი, რუსუდან ჭყონია, კახა კანდელაკი, ნატო მურვანიძე.

ამერიკული კინოაკადემია სხვადასხვა ქვეყნიდან ნომინაციისთვის წარდგენილ ფილმებს შეაჯამებს. ოსკარის დაჯილდოების საზეიმო ცერემონია კი 2015 წლის 22 თებერვალს გაიმართება.

ქართული კინოგამოცემის საქართველოს უბრუნდება

30 სექტემბერს, კულტურის სამინისტროში საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის მიხეილ გიორგაძის ძალისხმევით, ხელი მოეწერა ისტორიული მნიშვნელობის დოკუმენტს, რომლის თანახმადაც რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო კინოფონდი - „გოსფილმოფონდი“ საქართველოს გადმოსცემს 1916 წლიდან 1990 წლამდე გადაღებულ და ფონდის არქივში დაცულ ქართულ ფილმებს.



მემორანდუმს ხელს აწერენ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი მიხეილ გიორგაძე და რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო კინოფონდის - „გოსფილმოფონდის“ გენერალური დირექტორი ნიკოლოზ ბოროდაჩევი.

„გოსფილმოფონდი“ წარმოადგენს მსოფლიოს უდიდეს არქივს, რომელშიც დაცულია ყოფილი საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში მყოფი, ფაქტობრივად, ყველა ქვეყნის, მათ შორის საქართველოს კინოშედეგებიც. ინიციატივა ფილმების ქართული მხარისთვის გადმოცემასთან დაკავშირებით, საბჭოთა კავშირის დაშლისთანავე, 90-იან წლებში გაჩნდა, თუმცა ქართველი კინემატოგრაფისტების დიდი ძალისხმევითა და მრავალწლიანი მცდელობის მიუხედავად, რიგი მიზეზების გამო ამ დრომდე ვერ განხორციელდა.

აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით, წლის ბოლოს მხარეებს შორის გაფორმდება ხელშეკრულება, რომლის შედეგადაც ქართული ფილმების გადმოცემის პროცესის განხორციელება, მომავალი წლიდან ეტაპობრივად დაიწყება. ფილმების სრული სია ქართულ მხარეს უკვე გადმოეცა. „გოსფილმოფონდში“ დაცული ქართული კინოარქივის სრულად საქართველოში დაბრუნებას 5 წელი დასჭირდება.

ფილმებს ქართული მხარე პოზიტივის ფორმატით მიიღებს, რაც მათი ნებისმიერ ციფრულ ფორმატზე გადაყვანის შესაძლებლობას და ამ გზით, საქართველოში საერთაშორისო, თანამედროვე სტანდარტის კინოარქივის შექმნის საშუალებას იძლევა.

მემორანდუმი ეროვნულ არქივსა და კინოსანატარს შორის

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნულ არქივსა და კინემატოგრაფიის ეროვნულ ცენტრს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა. დოკუმენტს ხელი მოაწერეს ეროვნული არქივის გენერალურმა დირექტორმა თეონა იაშვილმა და კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელმა ნანა ჯანელიძემ.

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი ითვალისწინებს ყოველი წლის ბოლოს ყველა იმ ფილმის ციფრული ვერსიის თითო ეგზემპლარის, ასევე, ფილმების გადაღებასთან დაკავშირებული ფოტომასალის ეროვნული არქივისთვის მუდმივად შესანახად გადაცემას, რომელიც იმ დროისთვის კინოცენტრში იქნება დაცული. გარდა ამისა, არქივს გადაეცემა აღდგენილი ფილმების ციფრული

ვერსიების თითო ეგზემპლარი და გამარჯვებული პროექტების ბეჭდური ვერსია. დოკუმენტი, ასევე, ითვალისწინებს უწყებების მიერ ერთობლივი პროექტების განხორციელებას, ინფორმაციის გაცვლასა და სიახლეების გაზიარებას.

აღსანიშნავია, რომ ეროვნულ არქივში 35 000-მდე კინოდოკუმენტი ინახება. კოლექცია მოიცავს დოკუმენტურ ფილმებს, კინოსიუჟეტებს, კინოქრონიკას, კინოჟურნალებსა და მცირე რაოდენობით მხატვრულ ფილმებს. კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის მიერ ეროვნული არქივისთვის გადაცემული მასალა ფასდაუდებელი შენაძენი იქნება არქივის კინოკოლექციისთვის.

ჟურნალ FILM PRINT-ის №12 ნომრის პრეზენტაცია

1 ივლისს, თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის მუზეუმში, (კარგარეთელის ქ. N6) ეროვნული კინოცენტრმა გამართა ჟურნალ Film Print-ის მეთორმეტე ნომრის პრეზენტაცია.

2014 წლის ზაფხულის ნომრის რედაქტორები არიან კინომცოდნეები - მაკა კველიშვილი და ირაკლი მახარაძე.

ჟურნალი ქართულ კინემატოგრაფზე კვარტალში ერთხელ გამოდის და ყოველ ნომერზე მუშაობს რედაქტორთა ახალი ჯგუფი.

ახალ ნომერში აქცენტი გაკეთდა როგორც თანამედროვე ქართულ კინემატოგრაფზე, ასევე კინოკლასიკაზე.

ჟურნალში მიმოხილულია ბოლო პერიოდში ჩატარებული საერთაშორისო კინოფესტივალები.

წაიკითხავთ საინტერესო წერილებს: ქართველ ანიმატორებზე, მეოცე საუკუნის დასაწყისის იტალიური კინოს ქართველ ვარსკვლავზე, სტატიას დოკუმენტური ფილმების სტუდიაზე, თარგმანისა და გახმოვანების პრობლემებზე.

გაეცნობით საინტერესო რეცენზიებს ბოლო პერიოდში გადაღებულ მხატვრულ და დოკუმენტურ ფილმებზე. იხილავთ ვრცელ რეპორტაჟს შოთა რუსთაველის სახელობის თეატრალური უნივერსიტეტიდან, ფოტოპროექტს „კინომანი“, ასევე ინტერვიუებს ლევან ბერძენიშვილთან, საიმონ პერისტან და ჩედომირ კოლართან. და სხვა. . .

ჟურნალის მიზანია, ქართული კინოკულტურის პოპულარიზაცია, თანამედროვე კინოპროცესების გაცნობა ფართო აუდიტორიისათვის, კინოსექტორში მოღვაწე ადამიანების ინფორმირება მათი კოლეგების მიღწევებისა და პროფესიული გეგმების შესახებ. გარდა ამისა, ჟურნალი საინტერესო იქნება სხვადასხვა სფეროში მოღვაწე მკითხველისთვისაც, რაც თავის მხრივ გამოიწვევს ზოგადი ინტერესის გაზრდას კინოს მიმართ. ჟურნალი ვრცელდება უფასოდ ლიტერატურულ კაფეებსა და საზოგადოებრივი თავშეყრის სხვა ადგილებში.





ქართული კინო გიორგი ბერიძის ბარეზე

59 წლის ასაკში, კვარიათში, ტრაგიკულად დაიღუპა ცნობილი ქართველი კინოოპერატორი - გიორგი ბერიძე. მას განსაკუთრებული წვლილი აქვს შეტანილი თანამედროვე ქართულ კინოში. გამორჩეული ხელწერის კინოოპერატორს 50-მდე მხატვრული და დოკუმენტური ფილმი აქვს შექმნილი. იგი დამდგმელი ოპერატორია ფილმებისა:

- “იავნანა”, (რეჟ: ნანა ჯანელიძე)
 - “ვალსი პეჩორაზე”, (რეჟ: ლანა ლოდობერიძე),
 - “შეყვარებული კულინარის ათასერთი რეცეპტი” (რეჟ: ნანა ჯორჯაძე),
 - “ანემია” (რეჟ: ვახტანგ კოტეტიშვილი),
 - “სამი სახლი” (რეჟ: ზაზა ურუშაძე),
 - “ჩემი თვითმფრინავი” (რეჟ: გიო მგელაძე),
 - “კონფლიქტის ზონა” (რეჟ: ვანო ბურდული),
 - “რუსული სამკუთხედი” (რეჟ: ალექო ცაბაძე)
- და მრავალი სხვა.

ბოლოს გიორგი ბერიძე მუშაობდა რეჟისორ გიო მგელაძის ფილმზე „გაპიკოება“ ბათუმში, რომლის გადაღება ვეღარ დაასრულა. ეროვნული კინოცენტრი ღრმა მწუხარებას გამოთქვამს გიორგი ბერიძის გარდაცვალების გამო და უსამძიმრებს მის ოჯახს, ასევე მთელ ქართულ კინოსამყაროს.

www.gnfc.ge

საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი

ზ. გამსახურდიას სანაპირო #4
თბილისი 0105, საქართველო

ტელ: +995 32 299 92 00
ფაქსი: +995 32 299 91 02

info@gnfc.ge

www.gnfc.ge

www.filmcommission.ge